ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 180 (19921) ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 6 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲐᲮᲐᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ (ᲡᲐᲥ. ᲙᲝᲠ.). საქართველოს საზღვაო სანაოსნო მიმდინარე წლის დამდეგიდან თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობს. როგორია წლის პირველი ნახევრის შედეგები?

კაბოტაჟის გეგმები 105,2 პროცენტით, საზღვარგარეთ ტვირთზიდვისა და წმინდა შემოსავლის 110,5 პროცენტით, საექსპორტო-სამიმპორტო ტვირთზიდვის მოცულობისა კი 106,7 პროცენტით შესრულდა.

გეგმის გადამეტებით მიღებულია დიდძალი მოგება. სანაოსნოს სამსახურები კარგად გაისარჯნენ და სასურველ შედეგსაც აღწევენ. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი „აკადემიკოს დავითაიას“, „სამტრედიის“, „პობედა ოქტიაბრიას“, „ნატო ვაჩნაძის“, „გიორგი ლეონიძის“, „მარშალ გელოვანისა“ და სხვა გემების ეკიპაჟებმა.

სანაოსნოს გემებზე და ნავსადგურებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲘᲬᲔᲛᲔᲜ

ᲕᲘᲐᲗᲣᲠᲐ (ᲡᲐᲥ. ᲙᲝᲠ.). „ᲕᲘᲐᲗᲣᲠᲐᲜᲒᲐᲜᲣᲛᲘᲡ“ საწარმოო გაერთიანების დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს კოლექტივმა კარგი შედეგებით დაამთავრა წლის პირველი ნახევარი. გამოშვებულია გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი მანგანუმი, რეალიზებულია სოციალისტური ვალდებულებაც. მიაქციეთ ყურადღება: შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება 110,6 პროცენტით შესრულდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 668400 მანეთით შემცირდა. დანახარჯები ერთი მანეთის პროდუქციაზე გეგმასთან შედარებით შემცირებულია 7,6 კაპიკით.

შეკრებულია ზენა-მაღალეფექტური ნაშთები, წარმოების მოცულობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 1,5 პროცენტით, ხოლო საშუალო ხელფასი ერთ სამრეწველო პერსონალზე გაანგარიშებით — 20 მანეთით. გეგმა-ვალდებულებების შესრულებაში თავი გამოიჩინეს მესამე, მეექვსე, მეთერთმეტე და მეთორმეტე საწარმოო უბნების კოლექტივებმა. მოწინავე პოზიციებს არ თმობენ კომუნისტი მებიგეები გოდერძი ხარშილაძე, ეკორა ღუღუნიშვილი, ნიკოლა ღუღუნიშვილი, სატვირთო მანქანის მემანქანეები ვაჟა აბრამიშვილი, ტარიელ ღუღუნიშვილი, მბურღავები თამაზ ღუღუნიშვილი, რამაზ ქვათაძე, ექსკავატორის მემანქანეები ამირან იობაშვილი, ავთანდილ ნოზაძე და სხვები.

მიღწეული წარმატებები განაპირობა შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებამ, წარმოებაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვამ, მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლამ, რეზერვების გამოვლენამ და ამოქმედებამ.

დიმიტროველები სწრაფი ტემპით მიიწევენ წინ. მიმდინარე წლის გეგმების ისინი დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულებენ.

ᲤᲐᲠᲗᲝᲛᲝ ფრონტით მიმდინარეობს საკვების დამზადება სამხრეთ ოსეთის მდელოებზე. ავტონომიური ოლქის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა და ეფექტიანად მოქმედებენ საკვებმომპოვებელთა კომპლექსური მექანიზებული ბრიგადები.

წელს სამხრეთ ოსეთში უნდა დაამზადონ 28 ათასი ტონა სენაჟი, 33 ათასი ტონა სილოსი, 36 ათასი ტონა თივა, დიდძალი სხვა საკვები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲗᲘ: მეექვსე სეზონია ზაფხულის არდადეგების დღეებში საკვების ასაღებად კომბაინის საჭეს უზის ცხინვალის რაიონის სოფელ ძარის მასწავლებელი ლევ თიგიევი.

Ლ. ᲒᲣᲚᲘᲐᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲙᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲐᲒᲠᲝᲛᲠᲔᲬᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲡ დროთა მიხედვით ახლა საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და გადამუშავების ცხარე დღეებია. ჩაის ფოთლის გადამუშავება კარგა ხანია წარმატებით მიმდინარეობს. მას მოჰყვა ბოსტნეულისა და ხილის გადამუშავება, არცთუ ისე დიდი დრო დარჩა რთველამდე და დაიწყება ყურძნის დამზადება-გადამუშავება. როგორ მუშაობს აგრომრეწვის გადამშუშავებელი საამქრო? რა პრობლემები და ნაკლოვანებები აქვთ გადამუშავებულ საწარმოებს?

ეს კითხვები, ბუნებრივია, უნდა აღელვებდეს არა მარტო აგრომრეწვის მთელ სისტემას, მის ძირეულ დასაყრდენს — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს, არამედ პარტიის სასოფლო რაიკომებსა და რაისაბჭოს აღმასკომებს, ყველას ვისაც დიდი როლი აკისრია ჩვენს ქვეყანაში სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში.

როგორც აღვნიშნეთ ამ ბოლო დროს ჩაის მრეწველობაში ურიგოდ არ არის საქმე. ამას ხელი შეუწყო რესპუბლიკის აგრომრეწვის სათანადო სამმართველოების, მეჩაიეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების შეთანხმებულმა ნაყოფიერმა მუშაობამ, სახელმწიფო საქმისადმი კომპეტენტურმა დამოკიდებულებამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩაის მრეწველობაში სიახლეთა დახერგვისადმი შემოქმედებითი მიდგომა, საიჯარო ბრიგადებისადმი ხელშეწყობა, შრომის ნაყოფიერების გადიდების სხვა მნიშვნელოვანი რეზერვების ასამოქმედებლად ყოველდღიური ზრუნვა და სხვა. ჩაის პირველადი გადამუშავების საწარმოთა გამართულ მუშაობას ხელი შეუწყო აგროსამრეწველო კომბინატების შექმნამ — ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების ერთ ხელში გადასვლამ. ამ მხრივ სამაგალითოა გალის რაიონის აჩიგვარის, ჩხოროწყუსა და ვანის აგროსამრეწველო კომბინატების გამართული მუშაობა. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ ნედლეულის გადამუშავება აღარ ფურნდება, არამედ ის, რომ ჩაის ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების ერთ ხელში მოქცევამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. მაგრამ თქმა იმისა, რომ მეჩაიეობაში პრობლემები აღარ არის, შეცდომა იქნებოდა. ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში შეფერხებები კვლავ არის, გაუხეშებული ნედლეული ისევ და ისევ საკმაოზე მეტი მიდის ფაბრიკებში. მოკრეფილი ფოთლის დაგეგმილებით მიტანის შემთხვევებიც არ მოსპობილა და სხვა მრავალი. მოწინავეთა გამოცდილებას კარგად იყენებენ აჭარის მეჩაიეები. მათ მიერ დამზადებული ნედლეულის 75 პროცენტი პირველი ხარისხისაა, უფრო უკეთესად აქვთ საქმე ქობულეთელებს, სადაც მოკრეფილი ფოთლის 80 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ამ მხრივ აღსანიშნავია აფხაზეთის ასსრ (განსაკუთრებით კი გალის რაიონის), ვანის, ხობის და სხვა რაიონების მეჩაიეთა წელილი. ამ რეგიონებში მოკრეფილი ნედლეულის გადამუშავებაც დროზე და ტექნოლოგიის დაცვით ხდება, რაც მაღალხარისხოვანი ნედლეულის მიღების გარანტიას იძლევა. ნედლეულის მაღალხარისხოვნობით თავს ვერ გამოიჩენენ წყალტუბოს, ჭიათურის ზონის, თერჯოლის, ზესტაფონის რაიონების მეჩაიეები, სადაც ნედლეულის ხარისხი საშუალო რესპუბლიკურზეც კი შესამჩნევად ნაკლებია. გაოცებას იწვევს წულუკიძის რაიონის მეჩაიეთა შედეგი. მოკრეფილი ფოთლიდან მხოლოდ 48,6 პროცენტია პირველი ხარისხის. ცხადია ასეთი ნედლეულიდან ჩაის საწარმოებს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება გაუძნელდებათ.

ახლა ხილბოსტნეულისა და ბაღჩეულის დამზადების ცხარე დღეებია. ასეთ დროს საზოგადოებრივ მეურნეობათა და გადამშუშავებელ საწარმოთა ხელმძღვანელების, სპეციალისტების, ყველა მშრომელის საზრუნავი და საფიქრალი ერთი უნდა იყოს: მათ ყველა ღონისძიება უნდა იხმარონ, რომ მოწეული მოსავლის რეალიზაცია დროულად მოახდინონ, ხოლო გადასამუშავებელი ნედლეული საკონსერვო და ხილის წვენის ქარხნებმა დროულად მიიღონ და ტექნოლოგიური წესების ზუსტად დაცვით გადამუშაონ, უზრუნველყონ მაღალხარისხოვანი მურაბების, კომპოტების, წვენების, კონსერვების, ხილფაფების და სხვა სახეობის პროდუქციის მიღება.

საქართველოში არის ისეთი ხილბოსტნეულის გადასამუშავებელი საწარმოები, რომელთა პროდუქცია განთქმულია არა მარტო რესპუბლიკასა და მთელ კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ეს რომ ასეა, ყველამ იცის, მაგრამ ისიც ცხადზე ცხადია, რომ თავშოსაწონი პროდუქცია ბევრი არ არის, ვერც ასორტიმენტის სიმრავლით დავიტრაბახებთ. რა ხდება? ხდება ის, რომ ვერა და ვერ მოვიცილეთ ამ დიდი საქმისადმი გულგრილი, უსულგულო დამოკიდებულება. გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ წლევანდელი 8 მაისის ნომერში გაკრიტიკებული იყო ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმო იმის გამო, რომ კონსერვების ასორტიმენტი და ხარისხი მშრომელთა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

რესპუბლიკის პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა მთელი სიგრძე-სიგანით იმსჯელეს ამ საკითხზე და მიიღეს სათანადო დადგენილება.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ხშირად არ ასრულებენ ხოლმე ასორტიმენტის მიხედვით საკონსერვო მრეწველობისათვის სათანადო ხარისხის პროდუქტებით მომარაგების გეგმებს. ამიტომაც არის, რომ ხშირად მომხმარებელს ვთავაზობთ სხვა რესპუბლიკებიდან შემოზიდულ კონსერვებს. აქ უწინარესად აღსანიშნავია ბოსტნეულის კონსერვების ნაკლებობა.

მარშან საკონსერვო მრეწველობამ ვერ მიიღო 5,600 ტონა კიტრი, 18,000 ტონა ტომატი, 750 ტონა მწვანე ბარდა, 650 ტონა მწვანე ლობიო და სხვა. რესპუბლიკისათვის ისეთი ტრადიციული ხილი, როგორიც არის ატამი, კომში, ბალი, ალუბალი საკონსერვო საწარმოებისათვის მიწოდება თითქმის შეწყდა. ასევე ითქმის ბოსტნეულის — კომბოსტოს, ჭარხლის, ყაბაყის მიწოდებაზე. ამასთან ზოგჯერ სტანდარტულ ნედლეულს, რომელიც ქარხნებში მიდიოდა, არარაციონალურად იყენებდნენ. ამიტომაც საერთო რაოდენობის კონსერვებში მურაბის, კომპოტების, ჯემის წილი მარშან 6 პროცენტი იყო. პამიდორიდან მხოლოდ ერთი სახეობის პროდუქცია—ტომატი-პასტა მზადდებოდა. სახაგრომრეწვის სათანადო სამსახურის უკონტროლობის გამო ტექნოლოგიური პროცესები ირღვეოდა. ამას არც რაიონული ხელმძღვანელები აქცევდნენ ყურადღებას. ამის გამო მარტო რ.ᲡᲡᲡᲠ-ს ვაჭრობის სამინისტროს ცნობით ჩვენგან გაგზავნილი კონსერვების 20 პროცენტი უხტანდარტო იყო. ამაში სცოდავდნენ აჭარის, სამტრედიის, ქუთაისის, წულუკიძის, წყალტუბოს, გურჯაანის, ბოლნისის, ახალქალაქისა და სხვა საწარმოები. ახლა ამოცანა ის არის, რომ წლეულს ასეთი რამ აღარ განმეორდეს.

მარშან აგრომრეწვის სათანადო საწარმოებმა მომხმარებელს 25 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი დაუკლო. აქედან ნახევარი ბოსტნეულის კონსერვებზე მოდის.

წლეულს დიდი ამოცანები აკისრიათ როგორც სახაგრომრეწვის გადამშუშავებელ საწარმოებს, ისე საზოგადოებრივ მეურნეობებს. მკაცრმა ზამთარმა, გაზაფხულის ხანგრძლივმა წვიმებმა და სეტყვამ დააზიანა ბაღ-ვენახები და ბოსტნები. ამან დიდი და რთული ამოცანების წინაშე დააყენა დამამზადებლებიც და გადამშუშავებელი საწარმოების მუშაკებიც. ასეთ დროს ყოველი კილოგრამი ნედლეული მკაცრ კონტროლს უნდა დაექვემდებაროთ. საჭირო და აუცილებელია მაქსიმალურად გამოვიყენოთ ხილბოსტნეულის არსებული რეზერვები. გადამუშავების დროს მკაცრად უნდა დავიცვათ ტექნოლოგიური წესები, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ პროდუქცია მაღალხარისხოვანი იყოს. აქვე დავძენთ, რომ კონსერვების ქილებისა თუ ბოლოების ბრალეში ბოლო დროს ერთგვარად გაუმჯობესდა, მაგრამ სადღეისო მოთხოვნებს მაინც ვერ აკმაყოფილებს. დროა სათანადო სამსახურმა გაითვალისწინოს ხატოვანი გამოთქმა: ყველაფერს თვალი სვამს და თვალი ჭამსო.

საკონსერვო და ხილის წვენების წარმოებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენი განთქმული ზურგების პროდუქციამ: ყურძნისგან უამრავი სახეობის კონსერვების, წვენების დამზადება შეიძლება და უნდა დავამზადოთ კიდეც. საამისოდ უნდა იფიქრონ სახაგრომრეწვის სათანადო ორგანოებმა, უწინარესად ყურძნის პირველადი გადამუშავების ქარხნების ხელმძღვანელებმა.

ჩვენი ჩაის პლანტაციების, ბაღ-ვენახების, ბოსტან-ბაღჩების მნიშვნელნი აღტაცებაში მოდიან ხოლმე. ჩვენი საპატიო ვალია ბუნების შეფერხებისაგან მიღებული შთაბეჭდილებანი მაღალხარისხოვანი, კარგად გაფორმებული პროდუქციით განვუმტკიცოთ — ასეთია რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა და აგრომრეწვის გადამშუშავებელ საწარმოთა მუშაკების სადღეისო საზრუნავი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 4 აგვისტოს გამართულ სხდომაზე განიხილა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობა საერთო-საკავშირო ფონდში, მათ შორის მოსკოვსა და ლენინგრადში ხილბოტნეულისა და კარტოფილის გაგზავნის უზრუნველყოფისათვის. აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვამ, ცეკავშირმა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, ქალაქ წყალტუბოს ზონის, გარდაბნისა და მარნეულის რაიონების პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა შეასუსტეს ორგანიზატორული მუშაობა, არ განახორციელეს უამინდობისა და სტიქიურ უბედურებათა შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი ღონისძიებები, რის გამოც საერთო-საკავშირო ფონდისათვის ზოგიერთი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების გეგმა ვერ შესრულდა. მიიჩნია რა მათი საქმიანობა ამ მიმართულებით არადამაკმაყოფილებლად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა მიზანია საერთო-საკავშირო ფონდში ხილბოსტნეულის გაგზავნის ორგანიზაციაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, საგგმო დისციპლინისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა ზუსტად დაცვისათვის სასოფლო-სამეურნეო, დამამზადებელი, სავაჭრო და სატრანსპორტო საწარმოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაძლიერება.

მოიწონეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის თაობაზე. დასახულ ღონისძიებათა რეალიზაცია ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის პირუტყვის შენახვას პირად მეურნეობებში, შესაძლებელს გახდის მისი სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდებას.

განხილულია მშრომელთა ისტორიული ხსოვნის ფორმირებაში, ინტერნაციონალურ და პატრიოტულ აღზრდაში საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების მუზეუმების, მემორიალებისა და ძეგლების როლის გაძლიერების საკითხი. რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს წინადადება მიეცათ გამოიყენონ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საქართველოს კომპარტიის ისტორიული გამოცდილების, რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების, ხალხთა ლენინური მეგობრობის პროპაგანდისათვის.

კონტროლის წესით განხილულია „ობლებისა და მშობელთა მეურვეობას მოკლებული ბავშვების ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ დადგენილების მოთხოვნათა პრაქტიკული რეალიზაცია მიმდინარეობს ჯეროვანი თანამიმდევრობისა და პასუხისმგებლობის გარეშე, რის შედეგად აღნიშნულ დაწესებულებათა საქმიანობაში ძირეული გარდატეხა არ მომხდარა. რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს დაევალათ გაანახორციელონ შმობელთა მეურვეობას მოკლებულ ბავშვთა მოვლის, სწავლებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების გადაუდებელი ღონისძიებები და ეს ამოცანა მიიჩნიონ უპირველესი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ. ამ დადგენილების შინაარსი პრესაში გამოქვეყნდება.

შემოწმდა მომავალ შემოდგომაზამთრის პერიოდში მუშაობისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მომზადებისა და სათბობით, ელექტრო და თბოენერგიით მოსახლეობის უზრუნველყოფის მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ მუშაობას, რომელსაც ამ მიმართულებით ეწევიან სამინისტროები, უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები, ჯერ კიდევ ახასიათებს არსებითი ნაკლოვანებები. უზრუნველყოფილი არ არის სტიქიურ უბედურებათა შედეგად დაზიანებული მთელი რიგი ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენა, ნელა აღმოიფხვრება „ეიწრო“ ადგილები გაზის მეურნეობაში, დაძაბული მდგომარეობა შეექმნა ნავთობპროდუქტებით მომმზადებელთა მომარაგებაში. რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ გააანალიზონ ადგილებზე შექმნილი საქმის მდგომარეობა და აღმოფხვრან 1987-1988 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის სახალხო მეურნეობის მომზადებაში დაშვებული ჩამორჩენა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა მუშაობა, რომელიც ტაშკენტის საოლქო პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად წარმოებს პარტიაში მიღებისათვის და პარტიული რიგების განმტკიცებისათვის. პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ განახორციელონ პირველადი პარტორგანიზაციების თვისებრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი და ეს საკითხი განიხილონ გარდაქმნის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს განახლების მოთხოვნებთან მჭიდრო კავშირით. დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება პრესაში.

განიხილა რა წარმოების სრულყოფის, სახმილების პირობებში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მისი საიმედოობისა და კონკურენტუნარიანობის გადიდებისათვის რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნის ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ არასაკმარისად ცნო იგი. სამსახურებისა და საამქროების ხელმძღვანელები ნელა გარდაქმნიან თავიანთი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, ურიგდებიან წარმოების დაბალ კულტურას, იერიშობანასა და მოშვებულობას. სახმილების ორგანო სუსტად იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებებს, არ უზრუნველყოფს კონტროლს ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიური ციკლის ყველა ეტაპზე, მათ შორის საწყის კონტროლს. პარტიული ორგანიზაცია პრინციპულ შეფასებას არ აძლევს სერიოზულ ნაკლოვანებებს წარმოების მართვაში, კომუნისტი ხელმძღვანელების შეცდომებს საკადრო პოლიტიკის განხორციელებასა და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში. მიღებულ დადგენილებაში დასახულია ღონისძიებები, რომელთა მიზანია საწარმოს საქმიანობის სტაბილიზაცია და მისი მომზადება სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლისათვის, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მებრძოლურობის გაზრდა, პროდუქციის ხარისხისა და ტექნიკური დონის ამაღლებისათვის შრომითს კოლექტივში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა რესპუბლიკის საბაჟო კონტროლის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების საკითხი. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია სერიოზული ნაკლოვანებები მათს საქმიანობაში, კადრებისადმი მომთხოვნელობის შესუსტება, იდეურ-პოლიტიკური წრთობისა და პროფესიული მომზადების დაბალი დონე. განსაზღვრულია იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია რესპუბლიკის საბაჟო სამსახურებში მუშაობის ძირეული გარდაქმნა, სახელმწიფო დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება რესპუბლიკის სოზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა საკითხებზეც.

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲕᲘᲝᲐᲙᲘᲛ ᲐᲚᲒᲔᲠᲢ ᲩᲘᲡᲐᲜᲝᲡ

4 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარეს, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ჟოაკიმ ალბერტ ჩისანოს, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება.

საბჭოთა და მოზამბიკელმა ხელმძღვანელებმა ამ შეხვედრაზე განაგრძეს წინა დღეს საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის მოლაპარაკების დროს დაწყებული მუშაობა, განიხილეს სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის საკითხები, აგრეთვე მოზამბიკის ახლანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები სამხრეთ აფრიკის კონფლიქტური სიტუაციის საერთო კონტექსტით.

ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ფრელიმოს პარტია ერთნაირად არიან დაინტერესებული თანამშრომლობითა და გამოცდილების გაზიარებით. საამისოდ უკვე არის კარგი ბაზა, რომელიც კვლავაც უნდა გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს. ჩვენი პარტიები მმართველი პარტიებია, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, და სწორედ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა თავიანთი ქვეყნების სვე-ბედისათვის. ამიტომ, ჩვენთვისაც და ჩვენი მოზამბიკელი მეგობრებისთვისაც პარტიული მშენებლობის, პარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცების საკითხებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ, ისევე როგორც თქვენ, გვწამს, რომ მოზამბიკი საბოლოო ანგარიშით წარმატებებს მოიპოვებს. მაგრამ ამისათვის საჭიროა ბრძოლა, რათა ამაოდ არ ჩაიაროს მსხვერპლმა, რომელიც მოზამბიკელმა ხალხმა გაიღო საშობლოს თავისუფლების, მისი უკეთესი მერმისის მოსაპოვებლად.

ჟ. ჩისანომ დაწვრილებით ილაპარაკა სახალხო მოზამბიკის ახლანდელ რთულ ვითარებაზე, რომელიც იძულებულია მძიმე ბრძოლა აწარმოოს ქვეყნის ეკონომიკური აღდგენისათვის, შიმშილისა და სნეულებათა წინააღმდეგ, და ამავე დროს, წინააღუდგეს შენაური და გარეშე რეაქციის ძირგამომთხრელ მოქმედებას, რომელიც ვერ ურიგდება მის დამოუკიდებელ, პროგრესულ არჩევანს. ამ ბრძოლაში მას ერთგულად უდგანან მხარში „ფრონტისპირა“ და აფრიკის სხვა სახელმწიფოები, საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ქვეყნები. მოზამბიკის ხელმძღვანელებმა განაკუთრებული მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს დახმარებისათვის, რომელსაც იგი უწევს მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკას თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, რაც სამხრეთ აფრიკის მდგომარეობის რთულ პირობებში ქვეყნის ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის ძირითადი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ობიექტური ვითარება ახლა მოზამბიკის, როგორც დამოუკიდებელი მიუმხრობელი სახელმწიფოს წინაშე სახავს სახალხო-დემოკრატიული ხასიათის ამოცანებს. ეს ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის, ეროვნული ერთიანობის განმტკიცებისათვის, მოზამბიკის საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობისა და პროგრესის საწყისების დამკვიდრებისათვის ბრძოლას.

მ. ს. გორბაჩოვმა ჟ. ჩისანოს საბჭოთა კავშირის გამოცდილებაზე, რომელსაც თავისი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში აგრეთვე მოუწია დაეძლია უმძიმესი სიძნელეები: ებრძოლა შინაური კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტური ინტერვენციის, შიმშილისა და ბანდიტიზმის წინააღმდეგ, ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებისათვის, წინააღდგომოდა აგრესიას და აღედგინა დანგრეული ეკონომიკა. ჩვენი მთავარი საიმედო ორიენტირი იყო და კვლავაც არის ლენინური იდეები სოციალისტური მშენებლობის გზების შესახებ. რა თქმა უნდა, საკუთარ პირობებში მექანიკურად ვერ გადაიტან სხვა ქვეყნების გამოცდილებას, მაგრამ იქიდან ყოველივე სასარგებლოს, დადებითის აღება შეიძლება და საჭიროც არის.

რაც შეეხება დასავლეთის პოლიტიკას მოზამბიკისა და აფრიკის სხვა სახელმწიფოების მიმართ, დიდი ხანია დადგა დრო ვიხელმძღვანელოთ დღევანდელი დღის რეალობებით, ნებისმიერი ქვეყნის ხალხის იმ ხელშეუვალი უფლებით, რომ აირჩიოს განვითარების საკუთარი გზა. უამისოდ ვერ ავაგებთ ნორმალურ საერთაშორისო ურთიერთობას.

მ. ს. გორბაჩოვმა ჟ. ჩისანოს, მოზამბიკის ხელმძღვანელობას, ჩვენი მეგობარი ქვეყნის ხალხს წარმატებები უსურვა დამოუკიდებელი, მიუმხრობელი, პროგრესული მოზამბიკის მშენებლობაში. ჟ. ჩისანო მოიწვიეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსსაზეიმო მისაღებად.

შეხვედრას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, ფრელიმოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. მოკუმბი.

შეხვედრამ გულითად, ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა.

* * *

ამავე დღეს ჟ. ჩისანო, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრები მივიდნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან და მიიტანეს გვირგვინი. გვირგვინით შეამკეს აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავანთან.

5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ მოსკოვიდან კიევს გაემგზავრა ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარე, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟ. ჩისანო. საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით იგი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად არის როგორც მოზამბიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის მეთაური.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝ, ᲓᲐᲠᲒᲔ ᲮᲐ!

8-9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲢᲧᲔᲔᲑᲘᲡ

განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 28 ივლისს გამართულ სხდომაზე განიხილეს სასურსათო პროგრამის ამოცანათა უფრო სრული გადაწყვეტის შესახებ ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესრულების გადაუდებელ ღონისძიებათა საკითხი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ ვ. ს. მურახოვსკიმ საკითხის კორესპონდენტს თხოვნით ილაპარაკა ამ ღონისძიებათა შესახებ.

გავიმთავალისწინოთ მშრომელთა ინტერესები

გადაუდებელი ღონისძიებანი, უწინარეს ყოვლისა, ეხება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვის გაზრდით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მოსახლეობის შემდგომ დაინტერესებასა და ინიციატივის განვითარებას, ხაზგასმით აღნიშნა მან.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ნამდვილად გაუღვიძოს ინიციატივა ადამიანს, მთლიანად გამოიყენოს საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნილი დიდი პოტენციალი.

დასახულია ამოცანა გავააქტიუროთ მრეწველობის კვების დარგების, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოების, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოთა დამხმარე სასოფლო მეურნეობების მუშაობა, აღმოვფხვრათ შეზღუდვები, რომლებიც აფერხებენ სასურსათო რესურსების ზრდას.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებასთან, სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე მათ გადასვლასთან დაკავშირებით განსაკუთრებული როლი განეკუთვნება ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების დამოუკიდებლობის განვითარებას, შრომითი კოლექტივების, ყველა სოფლის მცხოვრების მორალური და მატერიალური დაინტერესების ეფექტიან სტიმულირებას. ამისათვის შექმნილია ყველა პირობა. თავიანთი შეხედულებისამებრ მეურნეობებს შეუძლიათ აირჩიონ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმები, მემცენარეობისა და მეცხოველეობის ინტენსიური ტექნოლოგიები. საჭიროა სრულად გამოვიყენოთ მთელი რეზერვები, რომლებიც აგროსამრეწველო კომპლექსს აქვს.

ავიღოთ, მაგალითად, ისეთი რეზერვი, როგორიცაა პირად კარმიდამოებში საზოგადოებრივი პირუტყვის მოზარდეულის გასუქება. ზოგიერთს ეგონა, და ახლაც ჰგონია, თითქოს ეს ლამის ძველი წყობილების აღდგენა იყოს, ამან შეიძლება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლა გამოიწვიოსო. სინამდვილეში კი სხვათა შორის, ნატურალურ ანაზღაურებას კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობის წარმოების სტრუქტურაში. პირობები ხომ შეიცვალა: ბევრ მათგანში მუშახელი ნაკლებია, ისინი იძულებული არიან დახმარება სთხოვონ ქალაქს. ეს კი, თავის მხრივ, კარგს არაფერს იძლევა. იკარგება და ძვირდება პროდუქცია, მეურნეობა პრაქტიკულად ერთ ადგილს ტრიალნს.

ასეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წინ უნდა გავიჭრათ პროდუქციის წარმოებაში. რა გზით? მიზანშეწონილად არის მიჩნეული განვამტკიცოთ ისინი ინიციატივიანი, კარგად მომზადებული კადრებით, ფართოდ გამოვიყენოთ ღია კონკურსები ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა თანამდებობების დასაკავებლად. თანაც იქ უნდა გავეზავნოთ არა ცალკეული ადამიანები, არამედ ჯგუფები.

ბევრი რამ არის გათვალისწინებული ამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, საბინაო და საგზაო მშენებლობის გაუმჯობესებისათვის.

არ უნდა დავივიწყოთ ის შესაძლებლობანიც, რომლებსაც უკვე იყენებენ ზოგიერთ რეგიონში. საქმე ეხება უშუალო დახმარების ორგანიზაციას, როცა ეკონომიურად ძლიერი მეურნეობები გარკვეულ სამუშაოს უსრულებენ სუსტ მეურნეობებს. თანაც, ეს ხდება გრძელვადიან სახელშეკრულებო საფუძველზე და ურთიერთხელსაყრელ პირობებში.

დანშნულებას ამართლებს ასეთი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე დამხმარე მეურნეობების შექმნის პრაქტიკა. ზოგიერთი სამრეწველო საწარმო მათი განვითარებისათვის სახსრებს ამაღლებს და დამატებითი პროდუქციის წილს იღებს საზოგადოებრივი კვების გასაუმჯობესებლად.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას მორალური სტიმულების როლის გაძლიერების შესახებ. ადამიანისათვის მარტო ფულის მიღება რანერია მთავარი. მას აინტერესებს იცოდეს აგრეთვე ამ შრომის მორალური შეფასება, საერთო საქმეში თავისი წვლილის საყოველთაო-სახალხო აღიარება.

სრულიად გარკვეულად ვიტყვი: საერთო სამეურნეო მექანიზმში ადამიანის მთელი ინტერესების ჩართვა საშუალებას მისცემს მას იგრძნოს თავი ბატონ-პატრონად, გაუღვიძოს იმის სურვილი, რომ აქტიურად მონაწილეობდეს ჩვენი ცხოვრების ყველა პროცესში, უფრო წარმატებით ასრულებდეს სასურსათო პროგრამას.

საჭაროოზის საფუძველზე

აფხაზეთის ათასობით მცხოვრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაში. ყოველ მსურველს მიეცა უფლება გამოთქვა თავისი მოსაზრება ერთ-ერთ ყველაზე საჭირბოროტო სოციალურ პრობლემაზე — საბინაო საკითხზე. მის წარმატებით გადაჭრას, აღინიშნა სესიაზე, უდიდესი საერთო-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, გარდაქმნის შემადგენელი ნაწილი გახდება.

ეს იყო საქმიანი, მომთხოვნი საუბარი დროის მოთხოვნათა სულისკვეთებით, სადაც შეკრებილნი განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ადგილობრივი საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მწვავე საჭიროებას ბინების მშენებლობისა და ფანაწილების ყველა პროცესის მართვაში.

სესიაზე მოხსენება გააკეთა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა ო. გ. ზუხბაიამ, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე გაიზარდა ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მოცულობა. მარტო სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 30 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი ჩაბარდა. და მაინც, ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვი მშენებლობის ეფექტიანობის გაზრდის საქმეში. ერთ-ერთი ასეთი რეზერვია ადგილებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ინტენსიური ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენება.

დეპუტატებმა მოისმინეს ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის ანგარიში, რომელიც წარმოადგინა მისმა თავმჯდომარემ კ. ნ. სიჯინავამ.

სესიამ დაამტკიცა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებები. ამ საკითხზე მოისმინეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ი. ტ. კვიწინაის მოხსენება.

(საინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე განიხილეს ბინებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის 1987 წლის პირველი ნახევარწლეულის შედეგები.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ გარდაქმნის პროგრამის წარმატებული რეალიზაცია პირდაპირ არის დამოკიდებული სოციალური საკითხების გადაწყვეტაზე, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საბინაო საკითხს. ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონე ვიხმაროთ, ყველა არსებული რეზერვი ავამოქმედოთ პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი სოციალური პროგრამის განხორციელებისათვის — 2000 წლისათვის ყოველი ოჯახი უზრუნველყოთ ცალკე ბინით ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით. მაგრამ მის გადასაწყვეტად მშენებელთა მუშაობა ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს.

ამასთან დაკავშირებით პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ, თუმცა სტიქიური უბედურების გამო ბინებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის პირველი ექვსი თვის კორექტირებული გეგმა შესრულდა, საქმის ვითარება ამ დარგებში კვლავ მეტად არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, მარტო რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ საერთოდ მთლიანად ვერ აითვისა საბინაო მშენებლობისათვის გათვალისწინებული თითქმის 7 მილიონი მანეთი. სულ 95,6 პროცენტით შეასრულეს საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალება საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სამშენებლო ორგანიზაციებმა. სულ კი აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემამ რესპუბლიკაში წლიური გეგმის 35 პროცენტი შეადგინა.

განსაკუთრებით შემაშფოთებელი მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთში. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი უფლება-შესაძლებლობანი — მიაღწიოს მტკიცე გარდატეხას, საოლქო აღმასკომი ჯეროვან ზემოქმედებას ვერ ახდენს მშენებლობის მიმდინარეობაზე. ამის გამო წლის დამდეგიდან აქ ჩაბარეს 1335 კვადრატული მეტრი ფართობის მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი. ეს დაგეგმილზე თითქმის ექვსჯერ ნაკლებია.

ანალოგიურად გააკრიტიკეს სხდომაზე სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოები, რომელთა უმრავლესობა თავისით ჩამოსცილდა ამ მნიშვნელოვანი სამუშაოს ხელმძღვანელობას და ვერ გრძნობს ჯეროვან პასუხისმგებლობას დაკისრებული უბნისათვის. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ უაღრესად საჭიროა გაიზარდოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების როლი სამშენებლო წარმოების ყველა პროცესის მართვაში.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროსა და სახაგრომრეწვის „საქაგრომშენის“ რაიონულ გაერთიანებას დაევალათ უზრუნველყონ საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გათვალისწინებული პროგრამის შესრულება, დასახონ სამუშაოთა ხარისხის ძირეული გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

კონკრეტული დავალებანი მიეცათ აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, რომლებმაც უნდა გააკონტროლონ ასამოქმედებელი ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა, ქმედითი დახმარება გაუწიონ სამშენებლო ორგანიზაციებს.

პრეზიდიუმის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ თბილისის საქალაქო აღმასკომს მიენიჭოს უფლება ნება დართოს მოქალაქეებს, რომელთა ოჯახებსაც [illegible] ნორმაზე ნაკლები [illegible] ფართობი უკავიათ, მიაშენონ ნაგებობანი თავიანთ სახლებს და ააშენონ უვარგისი ძველი შენობების ნაცვლად ახალი, ამასთან დაიცვან ნორმები და გაითვალისწინონ ქალაქმშენებლობის მოთხოვნენი. ნებადართულია აგრეთვე, რომ სახელმწიფო და კოოპერაციულ სახლებს იქ მცხოვრებმა მოქალაქეებმა თავიანთი ხარჯით მიაშენონ ლოჯიები და აივნები. სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ეს დადგენილება, სამი თვის ვადაში უნდა შეიმუშაონ და დაამტკიცონ შესაბამისი დებულება ამ საკითხის ყველა ასპექტის გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

(საინფორმი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის. შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმმა რესპუბლიკის ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნისათვის სერიოზული ამოცანები დასახა.

მათ გადაწყვეტაში სოლიდური წვლილი უნდა შეიტანონ სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე მხუბუქი მრეწველობის საწარმოებმა. პლენუმზე აღინიშნა, რომ თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობისას სამინისტრომ მიმდინარე წლის ხუთ თვეში გეგმას დააკლო 12 მილიონ მანეთზე მეტი მოგება.

ამავე დროს, სისტემის თვითდაფინანსებაზე გადაყვანილი 42 საწარმოდან 25-მა პირველ კვარტალში ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში ჩარიცხა 754 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. იმათ შორის, ვინც შეძლო ასეთი შედეგის მიღწევა, დასახელებულია თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაც. მაშასადამე, შეძენილია გარკვეული გამოცდილებაც, რომელიც უნდა შევისწავლოთ და განვავითაროთ.

ახლა თბილისის პირველი მაისის სამკერვალო ფაბრიკაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. შრომითს მეტოქეობაში სხვა ძირითად მაჩვენებლებთან ერთად წინა პლანზეა წამოწეული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელი, და ეს გასაგებია. ახალ პირობებში მუშაობის წარმატებას განსაზღვრავს მომხმარებლისათვის ნაწარმის მიწოდების ვალდებულების შესრულება. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვან წილად ხარისხზეა დამოკიდებული. სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა პლუს ხარისხი რენტაბელობის საწინდარია.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ფაბრიკის ერთერთ საუკეთესო მკერავს ლალი ზაქაიძეს (მარჯვნივ), რომელიც ოსტატობის საიდუმლოებას ასწავლის ახალგაზრდა მუშას ნანი ვაშაძეს.

ა. საპაროვის ფოტო.

კურსია ინტენსიფიკაციისა

საქმემ წინ წაიწია

ამ ორიოდე წლის წინათ თერჯოლის რაიონის აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხანაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით მისი დირექტორი ნ. ნემსიწვერიძე გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

რიგით ოცდამესამე ახალ დირექტორს ც. იმნაძეს ძალზე ცუდი მემკვიდრეობა დახვდა. საქმე ის არის, რომ აქ არ ქმნიდნენ კვარცის ქვიშის საჭირო მარაგს, მკაცრი ზამთრის პირობებში სუსტად ხელმძღვანელობდნენ ვაგონების გადმოცლასა და დატვირთვას, შეფერხებებით უშვებდნენ საკუთარი წარმოების კირს, შეკეთებას მოითხოვდა სარკინიგზო ჩიხის ნაწილი, საწარმო ამორტიზებული და მოუვლელი იყო. შრომის დაბალი ანაზღაურების გამო მუშათა დენადობის პროცენტი ოცს აღემატებოდა, არადამაკმაყოფილებელი იყო მუშებისა და ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაცია.

ქარხნის ახალმა დირექციამ თავისი საქმიანობა ჩიხის შეკეთებით დაიწყო. შექმნა ქვიშის 3-4 თვის მარაგი, კირის ღუმელში ძვირად ღირებული კოქსი გაზის ახალი ტიპის საფრქვევით შეცვალა. ეს მეთოდი პირველად საბჭოთა კავშირში ამ ქარხანაში დანერგა და აქედან მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 150 ათასი მანეთი შეადგინა. დაიწყო ავტოკლავის მეურნეობის გადახალისება. შეიცვალა ორი ავტოკლავი, დამონტაჟდა 5 ტონა ტვირთამწეობის ახალი ხიდური ამწე. საკუთარი ძალებით შეაკეთეს მოლაზია, სასადილო, სამედიცინო პუნქტი.

ამასთან, 1984 წელთან შედარებით 183 ათასი მანეთით, ხოლო 1985 წელთან შედარებით 87 ათასი მანეთით შეამცირეს არასწარმოო ხარჯები. მარშან, წინა წელთან შედარებით, შრომის ნაყოფიერება 16 პროცენტით გაიზარდა, პროდუქციის თვითღირებულება კი 100 ათასი მანეთით შემცირდა და მოგებამ 250 ათასი მანეთი შეადგინა.

წლეულს დაიწყეს ახალი საამქროს შენებლობა, სადაც სილიკატური ბეტონისაგან წვრილ საკედლე ბლოკებს დაამზადებენ. მისი მწარმოებლობა წელიწადში 80 ათას კუბურმეტრს მიაღწევს. ეს ბლოკები შეცვლის 40 მილიონ ცალ აგურს და საშუალებას მისცემს ქარხანას სრულად გამოიყენოს ნარჩენები. ბლოკების ასეთი წარმოება პირველია ამიერკავკასიაში.

სერიოზული პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია, რომელთა გადაჭრა დამოკიდებულია როგორც ადგილობრივზე, ისე სამინისტროს ხელმძღვანელებზე.

ამას წინათ ჩამოინგრა ავტოკლავების შენობის სახურავი. საერთოდ, ქარხნის მატერიალური ბაზა ავარიულ მდგომარეობაშია და გადაუდებელ შეკეთებას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ „საქსამთოზედამხედველობის“ სახელმწიფო კომიტეტის ინსპექციამ 1985 წლის აპრილიდან აკრძალა ავტოკლავების ექსპლოატაცია, მას მაინც ამუშავებენ. ამავე დროს ეზოში აწყვია ოთხი აკლავი, ავარიულ მდგომარეობაშია აგრეთვე დაცლის უბანი.

საყალიბე საამქროში ძალიან დიდია ბელის შრომის წილი, მოუწესრიგებელია დატვირთვის უბანიც, არა აქვთ საკმარისი რაოდენობის მასალები. საამქროებში ექსკჯერ აღემატება ნორმას დამტვერიანების პროცენტი, წესრიგშია მოსაყვანი ქარხნის მთელი ტერიტორია. მოთხოვნებს არ შეესაბამება შრომის უსაფრთხოების დაცვის სამსახურის მუშაობა.

საწარმო გარდაქცდის ფინანსურ სიძნელეებს. მიწოდების ვალდებულების შესრულებას აფერხებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს სსრ მომარაგება-გასაღების სამმართველო სწორად არ გეგმავს ტვირთის გადაზიდვის მეთოდებს, კერძოდ, იგეგმება აგურის მიწოდება რკინიგზით ქ. ფოთში, ზუგდიდში, ინგირში, ცხაკაიაში და სხვა მიმართულებით, მაშინ როცა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო აღნიშნული ქალაქებისთვის არ გეგმავს ვაგონების გამოყოფას. ქარხნის შესაძლებლობებს აღემატება: ცენტრალიზებული გადატვირთვის გეგმა, ხოლო ქუთაისის ავტოსატრანსპორტი გაერთიანება ქარხანას ვერ აწვდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სატვირთო ავტომანქანებს.

პერსპექტივები ნათელია, აღებულია გარდაქმნის სწორი ორიენტირი. ქარხნის წინსვლას მეტი დახმარება და თანადგომა სჭირდება.

ბ. შარიძაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

სადღეისო მოთხოვნათა დონეზე

იმაში, რომ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმების დანერგვა უზრუნველყოფს საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს, პრაქტიკულად დარწმუნდა გეგეჭკორის რაიონის მრავალი მეჩაიეობის ბრიგადა. სამეურნეო ანგარიში, ბრიგადული და ოჯახური იჯარა მკვიდრდება აქ და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგებშიც. ამასთან ერთად, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშიც მექანიზაციის დონის ამაღლებამ და ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებამ განაპირობა მუშახელის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოთავისუფლება ხელის შრომისაგან, წარმოების კულტურის ამაღლება.

ეს ითქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის სხდომაზე.

როგორც ანალიზმა ცხადყო, აქ გაწეული მუშაობა მთლიანად ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს. საერთოდ რაიონის სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალია მექანიზაციის დონე.

ამავე დროს, აღინიშნა სხდომაზე, საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები იშვიათად ისმენენ მეურნეობებისა და მათი ქვეგანაყოფების ხელმძღვანელთა ინფორმაციას წარმოების ეფექტიანობის გაზრდის, მეურნეობრიობის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების დანერგვისთვის გაწეული სამუშაოების შესახებ. სასოფლო საბჭოებისა და მათი აღმასკომების ღონისძიებებს ხშირად აკლია კონკრეტულობა, სუსტია შესრულების კონტროლი. ამასთან დაკავშირებით გეგეჭკორის სახალხო დეპუტატთა რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის რეგიონალურ განყოფილ ებ ა ს — საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის აგროსამრეწველო კომპლექსის მეცნიერების განვითარების სამეცნიერო უზრუნველყოფის მთავარ სამმართველოს შესაბამისი რეკომენდაციები მიეცა.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ რ. მემარნიშვილმა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

(საინფორმი).

თეორიის საკითხები

ლენინის ანდერძის ჯოლოქდე ერთგულნი

ხალხთა მეგობრობა — ოქტომბრის დიადი მონაპოვარი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან დღემდე განვლილი დროის მანძილზე ლენინური პარტიის მრავალმხრივ თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობაში მუდამ უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მშრომელთა ინტერნაციონალურ და პატრიოტულ აღზრდას, ხალხებს შორის ძმობისა და მეგობრობის დამკვიდრებას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის უარყოფად განხორციელებას, პოლიტიკისა, რომლის ძირითადი საწყისი იდეები გენიალურმა მოაზროვნეებმა, დიდმა პროლეტარულმა ბელადებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა წამოაყენეს.

ამ იდეებზე დაყრდნობით ლენინმა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე დაამუშავა ჭეშმარიტად რევოლუციური საოცრად მწყობრი და მეცნიერულად ყოველმხრივ დასაბუთებული პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა ეროვნულ საკითხში, რომელიც დღესაც სახელმძღვანელო პროგრამაა.

* * *

რევოლუციის გამარჯვებამ დასაბამი მისცა თვისებრივად ახალ ეტაპს რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი ერებისა და ხალხების ურთიერთობაში. მან შექმნა პარტიის ლენინური ეროვნული პროგრამის პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭირო ყველა ობიექტური რესურსები. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღესვე ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა სპეციალური ორგანო — ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატი. განვლო დაახლოებით ერთმა კვირამ და პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“, რომელშიც გადმოცემული იყო საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის საფუძვლები: „1) რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენობა; 2) რუსეთის ხალხთა უფლება თავისუფალი თვითგამორკვევისა, თვითგამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისაც კი; 3) ყველა ეროვნული და ეროვნულ-რელიგიური პრივილეგიის, გინდა შეზღუდვის გაუქმება; 4) რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა და ეთნიკურ ჯგუფთა თავისუფალი განვითარება“.

ამ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტის ოთხ დიდ ლენინურ პრინციპში გამოხატული იყო ის, რის განხორციელებასაც ითვალისწინებდა საბჭოთა მთავრობა. მაგრამ საბჭოთა მთავრობამ არა მარტო გამოაცხადა, არამედ სინამდვილედ აქცია ეს პრინციპები, ჩვენმა პარტიამ ხორცი შეასხა მათ სრულიად მოკლე ისტორიულ პერიოდში, უფრო ზუსტად, ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებშივე შეძლო საბოლოოდ დაეშსვრია და ქვა ქვაზე არ დაეტოვებინა, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, იმ „ძველი, სისხლიანი და ჭუჭყიანი წარსულიდან. როდესაც კაპიტალისტ მაგვერელთა რუსეთი სხვა ხალხების მიმართ ჯალათის როლს ასრულებდა“. საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალ ჩაგრულ ხალხებს მიანიჭა „სრული და შეუზღუდველი თავისუფლება“.

მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ოქტომბრის არც ერთ ისტორიულ მონაპოვარს, ცხადია, პარტიის ეროვნული პოლიტიკის ლენინურ პრინციპებსაც, არ ეღირსა ამიერკავკასიაში განხორციელება, აქ წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები თითქმის მთელი სამი წლის მანძილზე ახორციელებდნენ სხვადასხვა ერისა და ერრნების ერთმანეთთან დაპირისპირების პოლიტიკას. ისინი ხელოვნურად ქმნიდნენ მტრობის, კონფლიქტებისა და უკმაყოფილების ატმოსფეროს.

მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათმა ღონისძიებებმა უზრუნველყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლების ინტერნაციონალური ხასიათი.

მეორე და კიდევ უფრო მთავარი: ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა შეძლეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლის ყოველი ნაბიჯი დაექვემდებარებინათ უცხოელი ინტერვენტებისა და ქვეყნის შინაგანი კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლების ინტერესებისათვის, რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების ინტერესებისათვის.

ყოველივე ამის საერთო შედეგი ის იყო, რომ მან მნიშვნელოვნად შეასუსტა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობების აქტიურობა, მათი მონაწილეობა, როლი და ადგილი სამოქალაქო ომის წლებში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იმპერიალისტთა ჯვაროსნულ ლაშქრობებში.

ყველაფერი ეს ნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის მშრომელებმა ღირსეულად შეასრულეს ინტერნაციონალური მოვალეობა თავისი დიდი მეგობრის — საბჭოთა რუსეთის მშრომელების წინაშე.

ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ რუსეთის მშრომელებმა პირველი თხოვნისთანავე დახმარების ძმური ხელი გაუწოდეს ამიერკავკასიის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპზე. სწორედ მათი, მხლოდ მათი უანგარო, ძმური დახმარებით შეძლეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელებმა ბოლო მოეღოთ „თავიანთი“ კონტრრევოლუციური ნაციონალისტური მთავრობების ბატონობისათვის და აღემართათ დიდი ოქტომბრის ძლევამოსილი დროშა, აღემართათ თავიანთი ეროვნული დროშები.

* * *

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ აქაურმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა სოციალიზმის მშენებლობასთან ერთად უაღრესად ფართო კამპანია გაიჩაღეს ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ხალხებს შორის ძმური ინტერნაციონალური კავშირის შემდგომი განმტკიცებისა და ურთიერთობის ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნისათვის, დიდ რუს ხალხთან მეგობრობის განმტკიცება-გაღრმავებისათვის.

დიდმა ლენინმა 1921 წლის 14 აპრილს კავკასიის კომენისტებისათვის გაგზავნილ თავის ისტორიულ წერილში მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ კავკასიის რესპუბლიკების „... მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს“.

ბელადის ამ ბრძნული ანდერძის განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხთა სახელმწიფოებრივ კავშირს — ფედერაციას, რომლის შექმნის იდეა წარმოიშვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე, 1921 წლის მარტიდან. ამ დროიდან მთელი ერთი წლის განმავლობაში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ, ხოლო შემდეგ რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა განახორციელეს მრავალი ღონისძიება, რომლებიც ამზადებდნენ პირობებს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შექმნისათვის, ხელს უწყობდნენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკას შორის კავშირის განმტკიცებას, სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს შორის მეგობრობის შემდგომ გაღრმავებას.

მაგრამ ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე პირველ დიდ წარმატებებთან ერთად მალე გაუთვალისწინებელმა დაბრკოლებებმა იჩინა თავი. კერძოდ, სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოში ფედერაციის შექმნის საკითხი. საქმე ის იყო, რომ ფედერაციისათვის ბრძოლის საწყის ეტაპზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთა საგრძნობმა ნაწილმა ამ საკითხში რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისაგან განსხვავებული პოზიცია დაიკავა. ისინი უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკების მსგავსად მოითხოვდნენ ფედერაციის გვერდის ავლით საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების უშუალოდ შესვლას სსრ კავშირის შემადგენლობაში.

არ უნდა იყოს საკამათო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ მოთხოვნაში აბსოლუტურად არაფერი იყო ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლების ლენინური პრინციპის საწინააღმდეგო. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მან ვერ გაითვალისწინა, თუ როგორ მტკიცედ აყენებდა ამიერკავკასიის მაშინდელი ეროვნულები და უმძიმესი ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები ფედერაციის შექმნის აუცილებლობას. ამიტომ გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ამ კონკრეტულ საკითხში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიცია არ იყო სწორი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იგი პრინციპული ხასიათის შეცდომად არ ჩამოყალიბებულა.

მაგრამ თუ ამიერკავკასიის

უკასუხოდ

ფიქრები • მოგონებები

მუშვიდობის მარშ ჰიროსიმაში შევიდა

ჰიროსიმა. ჰიროსიმის ქუჩები აავსო ათასობით ადამიანმა, რომლებსაც მოჰქონდათ პლაკატები „უბრალოდ ულრაკეტო მსოფლიოსთვის!“ „ვგმობთ სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას!“, „პროტესტს ვაცხადებთ მთავრობის მიერ სამხედრო ხარჯების ზრდის წინააღმდეგ!“. დემონსტრანტთა რიგებში არიან სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის იაპონელები, რომლებიც ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ ამ ქალაქში, ატომურმა გრიგალმა ფერფლად რომ აქცია 1945 წლის აგვისტოში. მშვიდობის მარში, რომელიც მოაწყვეს იაპონიის ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციებმა, ჰიროსიმაში ჩამოვიდა ამერიკელების მიერ ატომური დაბომბვის 42 წლისთავის წინ.

ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ იაპონელმა მებრძოლებმა თავიანთი გრძელი გზა დაიწყეს მაისის პირველ დღეებში, როცა ყაცობრიობა აღნიშნავდა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისა და ყველაზე სისხლისმღვრელი ომის დამთავრების წლისთავს. იაპონიის ყველა პრეფექტურაზე გადიოდა მშვიდობის მარშრუტი. 10 ათას კილომეტრზე მეტი გაიარეს მისმა მონაწილეებმა. მოუწოდებდნენ ყველა იაპონელს აქტიურად ჩაებან საერთაშორისო მოძრაობაში, რომლის მიზანია ყაცობრიობის დამღუპველი თერმობირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება, დედამიწაზე ბირთვული შეიარაღების სრული ლიკვიდაცია, სამი უბირთვო პრინციპის მკაცრად დაცვა.

„სანამ გვიან არ არის, გადაულახავ კედლად უნდა აღვიმართოთ ბირთვული მანტაკის მომხრეთა გზაზე, მთელი ძალ-ღონე და ცოდნა უნდა მოვახმაროთ იმას, რომ სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო ყაცობრიობის ბირთვული მოსპობის საშიშროებას, გზა გავუკაფოთ განიარაღებასა და მტკიცე მშვიდობას, — განაცხადა ჰიროსიმის მშვიდობის პარკში გამართულ მიტინგზე სრულიად იაპონიის მასწავლებელთა პროფკავშირის ჰიროსიმის განყოფილების ხელმძღვანელობის წევრმა ტ. აბირუმ. — ეს ჩვენი საერთო ვალია ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე.

„კომუნისტის“ რეიდი

დახმარებისა და განკითხვის მოლოდინში

ნებული, გახალისებული, ბედნიერი ბავშვები და მათი მშობლები.

გავიცანით განყოფილების გამგე ტატიანა სირაძე. გაერთიანების შექმნამდე იგი სანატორიუმის მთავარ ექიმად მუშაობდა. სიმპათიური, ოდნავ შეჩაღარავებული, დედური დაუცხრომლობითა და მზრუნველობით აღსავსე ექიმი. სამი ათეული წელია, ამ კეთილშობილურ და რთულ საქმეს ემსახურება. რამდენი მოთმინება, ცოდნა, გულისხმიერება სჭირდება ადამიანს, რომ სასოწარკვეთილ ბავშვებსა და მათს მშობლებს გამოჯანმრთელების რწმენა ჩაუნერგოს.

მკურნალობასთან ერთად სასკოლო ასაკის ბავშვები სწავლების სრულ კურსს გადიან. მათ არ აკლიათ წიგნები და სასწავლო-სავარჯიშო საშუალებები. პატარებმა ჩვენს პატივსაცემად შესანიშნავი კონცერტი გამართეს, გვიმღერეს, ლექსები წაგვიკითხეს.

მეორე კორპუსში, რომელიც კარდიო-რევმატიული პროფილისაა, შემოგვეგება სანატორიუმის მთავარი ექიმი ეიერ ჯაფარიძე. აქ სტაციონარული მკურნალობა უფრო ხანმოკლეა. ზაფხულობით 40-დღიანი საგზურებით ჩამოდიან (სხვა დროს მკურნალობა 2-3 თვეს გრძელდება). სასკოლო ასაკის ბავშვებთან რეპეტიტორები მუშაობენ. მკურნალობას კარგი შედეგი

მოსდევს. მასაჟებს, ფიზიოთერაპიულ მკურნალობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ხშირად თბილისიდან საკონსულტაციოდ ჩამოდიან რესპუბლიკის ბავშვთა მთავარი რევმატოლოგი, პროფესორი ქეთევან გველესიანი და სხვა სპეციალისტები.

როგორც ვხედავთ, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ბავშვთა სანატორიუმს დიდი და მტკივნეული პრობლემა აქვს მოსაგვარებელი: ორივე კორპუსი შეუფერებელ შენობებშია. პირველი კორპუსი რევოლუციამდეა აშენებული და ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. აბა, წარმოიდგინეთ 20-25 მძიმე ავადმყოფი ბავშვი ერთ შუშაბანდიან პალატაში! განა ასეთ ვითარებაში ნორმალური მკურნალობა შესაძლებელია?

როდის და ვინ მიხედავს სანატორიუმს? ჯერჯერობით დაპირებებს იქით საქმე არ წასულა. მოვლენ, თანაგრძნობით თავს გადაქნევენ, წავლენ და დაპირება დაგრამ იმან, რაც ჩაქვის ქართულ საშუალო სკოლაში მოთავსებულ ბავშვთა ტურისტულ ბაზაში ვნახეთ (ხელმძღვანელი — რევაზ დარჩია), ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ალბათ, დღეს ძნელად გადაწყდება ადამიანი ასეთ უპასუხისმგებლობას, უსულგულობას, დამსვენებელთა აბუჩად აგდებას.

ბავშვები და მათი ხელმძღვანელები ცივად შეგვხვდნენ, ჩვენთან დალაპარაკებაც არ მოისურვეს. ან რა გაემტყუნებათ? თურმე, წინა დღით ბალტიისპირეთიდან ჩამოსული ერთი ჯგუფი ბნელ და ნესტიან ოთახში დაუბინავებიათ, სკოლაში კი ორმოცდააზე მეტი ოთახია?! უკეთეს მდგომარეობაში არც როსტოვიდან ჩამოსული ჯგუფი იყო. მათთვის, ფართობის მოგების მიზნით, ორსართულიანი ლოგინები ერთმანეთზე მიედგათ. საშუალო ზომის ოთახში 25 ბავშვი მოეთავსებინათ. სართულებზე საპირფარეშოები დაეკეტათ და ასამდე ტურისტი ეზოს ორადგილიანი საპირფარეშოთი სარგებლობდა. ტუბაზაში არა აქვთ სამრეცხაო და საშხაპე, ცხელ წყალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! ცხელი წყალი სასადილოშიც არ ჰქონდათ და ქონიან ჭურჭელს ცივი წყლით რეცხავდნენ.

სასადილოს დარბაზში ნამდვილი ანტისანიტარია სუფევდა. ეტყობოდა, იატაკი დიდი ხანია, სველი ჩვრით არ მოეწმინდათ. კერძები ერთფეროვანი და უგემური იყო. რამდენიმე ტურისტმა იკითხა, ნეტავ, დაბაში კაფე-რესტორანი თუ არისო. ზოგმა სადილიც მიატოვა...

ორი საათი დავყავით ბავშვთა ტურბაზაში, მაგრამ ვერც ბანაკის ხელმძღვანელი ვნახეთ და ვერც სასადილოს გამგე. კერძების განისჯვის დროს ერთ-ერთმა პედაგოგმა შემოგვჩივლა, კერძებში ყოველდღიურად 2 მანეთსა და 40 კაპიკს გვახდევინებენ, როგორც საუკეთესო პანსიონატებში, განა ეს ძარცვა არ არისო?

ვინ იცის, როგორ მოუხაროდათ საქართველოს თვალწარმტაცი ბუნებისაკენ ამ ადამიანებს, როგორი იმედით მოელოდნენ სტუმართმოყვარეობით განთქმულ მხარეში მასპინძლებთან შეხვედრას! ჰოდა, რა უსულგულო, უპასუხისმგებლო ადამიანებს გადაეყარნენ.

ნეტავ, რას ფიქრობენ ტურბაზის მესვეურები. ნაკადის ათიოდე დღე სწრაფად გაირბენს და ყველაფერი დავიწყებას მიეცემათ? მაგრამ ამ „მასპინძლობის“ დავიწყება არ შეიძლება. არც პატიება. ამ ფაქტზე, ალბათ, მკაცრად იმსჯელებენ პარტიის რაიონულ კომიტეტში.

დოლიძე — კომკავშირის ქობულეთის მერი; თ. ჯოჯუა — რაიონის განათლების განყოფილების სანეპიდსადგურის მთავარი ექიმის მოადგილე; მ. გოგრგილაძე — „კომუნისტის“ საკ. კორ.

ეკონფერენცია განიარაღების თაობაზე

ჟენევა. განიარაღებისადმი მიძღვნილი კონფერენციის აქ მიმდინარე სესიაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მონღოლეთის დელეგაციებმა წარმოადგინეს „რაკეტასაწინააღმდეგო იარაღის აკრძალვისა და კოსმოსური ობიექტების იმუნიტეტის უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულების ძირითადი დებულებები“.

პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ბარალდ როზემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის თავიდან აცილება. პრაქტიკული თვალსაზრისით საქმეა, არ დავუშვათ კოსმოსში არავითარი იარაღის განლაგება. დღეს წარმოდგენილი დოკუმენტი მტკიცე საფუძველს ჩაუყრის მოლაპარაკებას, მით უმეტეს, რომ მასში გათვალისწინებულია სხვადასხვა ხახელმეწიფოს აზრი და დაწერილებით არის დამუშავებული განყოფილებები, რომლებიც ეხება მომავალი ხელშეკრულების შესრულებისადმი კონტროლს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ლუვსანდორ ყიინ ბაიარტმა აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, დასავლეთის ზოგიერთი ქვეყანა აფერხებს განიარაღების კონფერენციაზე ამ საკითხის გამო საგნობრივი მრავალმხრივი მოლაპარაკების დაწყებას და ცდილობს იგი მხოლოდ ზოგადი მსჯელობით შეცვალოს. მონღოლეთის წარმომადგენელმა ერთხელ კიდევ მიიპყრო სხვა დელეგაციების ყურადღება იხდონჭინის გაზეთ „შერდეკის“ კითხვებზე მ. ს. გორბაჩოვის პასუხს, რომელშიც საბჭოთა ხელმძღვანელმა წამოაყენა ომის საფრთხის შემცირების, საყოველთაო უშიშროების განმტკიცებისათვის გამიზნული ახალი გაბედული ინიციატივები.

გეორგე დოლგუმ (რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა) განაცხადა, რომ საჭიროა ახალი კონსტრუქციული მიდგომა საერთაშორისო უშიშროების პრობლემისადმი, ამის მაგალითია, თქვა მან, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირის კომუნიკე.

ახლანდელი სესია, პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, მიმდინარეობს სოციალისტური სახელმწიფოების კონსტრუქციული, შეწონასწორებული წინადადებების ნიშნით. ისინი „ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულების ძირითად დებულებათა“, გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, მისი კოსმოსში გავრცელების თავიდან აცილების, ქიმიური იარაღის აკრძალვისა და ლიკვიდაციისათვის გამიზნული მთელი რიგი სხვა ინიციატივების თანაავტორები არიან.

◆ ეთიოპია

ებრძვიან შიდსს

ადის-აბება. ეთიოპიის მთავრობამ მიიღო შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო-ეროვნული პროგრამა, თქვა აქ ეთიოპიის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა გიზაუ ცეხ

მ. პროგრამა ხუთი წლისათვის არის გათვალისწინებული და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით განხორციელდება. როგორც მინისტრმა თქვა, ქვეყანაში დღეისათვის რეგისტრირებულია შიდსით დაავადების ხუთი შემთხვევა, მაგრამ არის იმის ნიშნები, რომ იზრდება ამ სენის ვირუსის გავრცელება „რისკის ჯგუფებში“. მარტო პირველი წლის განმავლობაში პროგრამის დაფინანსებისათვის საჭიროა 3,1 მილიონი დოლარი. ეს სახსრები, თქვა მინისტრმა, შემოვა როგორც სხვა სახელმწიფოებიდან ორმხრივ საფუძველზე, ისე ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის არხებით.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეთიოპიას ყველაზე ხელსაყრელი მდგომარეობა აქვს მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, რადგან შიდსის ვირუსის გავრცელებისადმი კონტროლს აქ ადრეულ სტადიაში მოჰკიდეს ხელი და დიდ იმედს ამყარებენ ბრძოლის პროფილაქტიკურ მეთოდებზე.

შიშის ღრუბლები იფანტება

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მიუზიკლის ახალი დადგმა

▼▼

ნიუ-იორკი. შვიდი საბჭოთა ქალაქშვილი და ჰაბუკი ჩამოვიდა მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონში. 22 ამერიკელ თანატოლთან ერთად ისინი მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი მუსიკალური სპექტაკლის „მშვიდობის პირმშოს“ ახალ დადგმაში.

ამ ნაწარმოების ლაიტმოტივი ის იდეა, რომ აუცილებელია საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობა, ჩვენი ორი ქვეყნის ახალგაზრდობის მეგობრობა მშვიდობისა და ხალხთა ურთიერთგაგების განსამტკიცებლად, თქვა საკვლევის კორესპონდენტთან საუბარში ამერიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ხის ჩაილდ ფაუნდეიშენის“ წარმომადგენელმა ჰეზერ ჰერლბერტმა. ეს იდეა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია ახლა, როცა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე გაჩნდა რეალური შესაძლებლობა დაიდოს მნიშვნელოვანი შეთანხმება შეიარაღების შემცირების შესახებ. მიეესალმებით დასახულ მორიგებას, რადგან მას მოჰყვება ბირთვული ომის საფრთხის შენელება, იგი გაფანტავს ერთმანეთის მიმართ ეჭვისა და შიშის ღრუბლს ადამიანთა ურთიერთობაში. სპექტაკლის „მშვიდობის პირმშოს“ მიზანია გვაჩვენოს, რომ თითოეულ ადამიანს ჩვენს ქვეყნებში შეუძლია და კიდევაც უნდა შეიტანოს პირადი წვლილი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებაში.

პირველი ორი წარმოდგენა გაიმართება ბოსტონში 11 და 12 აგვისტოს. ამის შემდეგ ახალგაზრდული კოლექტივი საბჭოთა კავშირში გამოემგზავრება. „მშვიდობის პირმშოს“ დადგმას ნახავენ მოსკოვის, ლენინგრადის, ერევნის, სოჭისა და დონის როსტოვის მაყურებლები.

პარტიის რაიკომების პლენუმები

თბილისი. გაიმართა პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა **რ. ი. ჯავახიშვილი** პარტიის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია **გ. ს. ბაკურაძე,** რომელიც თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ი. ალავიძემ.**

* * *

ადიგენი. გაიმართა საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა **ჯ. მ. ნაკაშიძე** პარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პარტიის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **ტ. ს. პეტაშვილი,** რომელიც ადიგენის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ნ. ა. ჭითანავამ.**

* * *

სამტრედია. გაიმართა საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა **თ. შ. იმედაძე** პარტიის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა საშუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია **თ. კ. მიქაძე,** რომელიც სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ ჯოზეფ გარბამ (ნიგერია) ხაზგასმით აღნიშნა, რომ მანდელა და სხვა პოლიტიკური პატიმრები დილეგებში იმიტომ ჰყავთ, რომ ისინი იბრძოდნენ და იბრძვიან ბაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მთელი საერთაშორისო გაერთიანება, ხაზგასმულია განცხადებაში, მოითხოვენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიტპატიმართა განთავისუფლებას, როგორც სამხრეთ აფრიკის პრობლემის გადაწყვეტის სრულიად აუცილებელ პირობას.

◆ ეთიოპია

ებრძვიან შიდსს

ადის-აბება. ეთიოპიის მთავრობამ მიიღო შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო-ეროვნული პროგრამა, თქვა აქ ეთიოპიის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა გიზაუ ცეხურმ. პროგრამა ხუთი წლისათვის არის გათვალისწინებული და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით განხორციელდება. როგორც მინისტრმა თქვა, ქვეყანაში დღეისათვის რეგისტრირებულია შიდსით დაავადების ხუთი შემთხვევა, მაგრამ არის იმის ნიშნები, რომ იზრდება ამ სენის ვირუსის გავრცელება „რისკის ჯგუფებში“. მარტო პირველი წლის განმავლობაში პროგრამის დაფინანსებისათვის საჭიროა 3,1 მილიონი დოლარი. ეს სახსრები, თქვა მინისტრმა, შემოვა როგორც სხვა სახელმწიფოებიდან ორმხრივ საფუძველზე, ისე ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის არხებით.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეთიოპიას ყველაზე ხელსაყრელი მდგომარეობა აქვს მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, რადგან შიდსის ვირუსის გავრცელებისადმი კონტროლს აქ ადრეულ სტადიაში მოჰკიდეს ხელი და დიდ იმედს ამყარებენ ბრძოლის პროფილაქტიკურ მეთოდებზე.

◆ ეთიოპია

#

„თუშეთობა“

ყოველწლიურად სულ უფრო ხალხმრავალი ხდება თუშეთის სოფელი ომალო. კვლავ აყდერდა სალამური ალპურ საძოვრებზე, გამოცოცხლდა თუშეთი.

გასულ შაბათს თუშები გულითადად მასპინძლობდნენ ტრადიციული ხალხური დღესასწაულის „თუშეთობის“ მონაწილეებს, რომელმაც დღეს ახალი შინაარსი შეიძინა. დღესასწაული დაიწყო მთიელებისათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული ობიექტების გასაღების გადაცემით. მშენებლებმა კი ომალოელებს წელს მართლაც ძნიშვნელოვანი სჩუქარი მოუმზადეს — ახალი საავადმყოფო, სკოლა-ინტერნატი, საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციული შენობა, მუშათა სასადილო და სხვ.

გამართულ მიტინგზე სოფლის მშრომელთა სახელით სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. სისაურმა გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას მთის მხარის აღორძინებაზე მუდმივი ზრუნვისათვის.

როცა დაათვალიერეს თავისებური გამოფენა, რომელზეც თუშებმა წარმოადგინეს თავიანთი ხელოვნების ნიმუშები — ხალიჩები, ტანსაცმელი, ადგილობრივ ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრები, გაიმართა თეატრალიზებული წარმოდგენა. ახალგაზრდა მთიელებმა შეკაზეს ფეხბარდი ცხენები და სცადეს აეღოთ ციხესიმაგრე, მაგრამ მისი დამცველები არ შემდრკალან. გაჩაღდა „ბრძოლა“, რომლის დროს ორივე მხარემ ცხადყო ცხენოსნობის ჩინებული ოსტატობა. ხალხის წარსულიდან აღებულ ყველა ამ სცენას თან ახლდა ხალხური მუსიკა და სიმღერები.

დღესასწაულზე აირჩიეს თუშეთის საპატიო მოქალაქეები, გაიმართა მწყემსად კურთხევა.

„თუშეთობის“ დღესასწაულში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, ზ. ა. ჩხეიძე, ვ. მ. სირაძე. (საქინფორმი).

ჯადოსნური ჰანგები

სოხუმის ლენინის სახელობის მწვანე პარკში, სადაც განსაკუთრებით ლამაზია ხოლმე ზაფხულის საღამოები, გაიმართა სასუელი მუსიკის დღესასწაული. საინტერესო პროგრამა შესთავაზა სოხუმელებსა და ქალაქის სტუმრებს სსრ კავშირის გზათა სამინისტროს სანიმუშო ორკესტრმა. რეპერტუარში იყო კლასიკური და თანამედროვე, საბჭოთა და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიც, მათ შორის აფხაზი კომპოზიტორის ა. ჩიჩბას სიმფონიური პოემა „აბრსკილი“.

დაუდევრობა თუ დანაშაული?

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

◎ ᲨᲣᲮᲣᲗᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲣᲡᲣᲚᲒᲣᲚᲝᲗᲐ ᲜᲐᲮᲔᲚᲐᲕᲘᲐ ◎ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲝᲗᲐᲮᲔᲑᲨᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲓᲦᲔᲑᲐ, ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲘᲬᲚᲔᲑᲐ

შუხუთისა მოსწავლეებმა მრავალი წლის ნანატრი სკოლა 1974 წლის დეკემბერში მიიღეს — ჩაბარდა საშუალო სკოლის სამსართულიანი კაპიტალური შენობა. მაგრამ, სამწუხაროდ, უსულგულო ადამიანებს ისე დაუდევრად აეშენებიათ, რომ სხვა გზა არ იყო, 10 დღის შემდეგ შეადგინეს ორი სადეფექტო აქტი. აქტებს ხელს აწერდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, ლანჩხუთის რაიონის სანეპიდსადგურის, სახანძრო ინსპექციის, ელექტროქსელების განყოფილებისა და სხვა ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები და სპეციალისტები. მათში აღნიშნულია სამუშაოები, რომლებიც პროექტით მშენებლობის პროცესში უნდა შესრულებულიყო, მაგრამ

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი ნანული აბესაძე თავიდან სულაც არ ფიქრობდა მუსიკალურ კარიერაზე. იგი ინგლისური ენის დაუფლებაზე ოცნებობდა, მაგრამ ნიჭმა თავისი გაიტანა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხატვრულ თვითმოქმედებაში თანდათან გამოვლინდა მომღერლის შესაძლებლობანი.

„არის მეორე ლეგენდა, რატომ დაგერქვა თბილისი“... მთელმა საქართველომ შეიყვარა ნუნუ გაბუნიას ეს სიმღერა ნანული აბესაძის შესრულებით. ნანული დღეს უკვე აღიარებული მომღერალია. აი რას ამბობს მის შესახებ კომპოზიტორი მიხეილ ტარავერდიევი: „სასიამოვნო ხმა, სიმღერის წვდომის უნარი, ესტრადაზე მის გამოჩენას განსაკუთრებულ მომხიბვლელობას სძენს“.

უნივერსიტეტში ნ. აბესაძე ვოკალურ ტრიოში მღეროდა, ჰქონდა სოლო სიმღერებიც, მისი რეპერტუარი ძირითადად ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებზე იყო აგებული.

მომღერალი ახლაც მღელვარედ იგონებს უნივერსიტეტის თვითმოქმედი კოლექტივების გასტროლებს ჩეხოსლოვაკიაში. იქ ნანული აბესაძის მიერ შესრულებულ რევაზ ლაღიძის სიმღერას თბილისზე დიდი წარმატება ჰქონდა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნ. აბესაძე საესტრადო ორკესტრ „რეროში“ მიიწვიეს სოლისტად. არ დარჩენილა საბჭოთა კავშირის არც ერთი კულტურული ცენტრი, სადაც ნანულის არ ემღეროს. მომღერლისათვის დიდი გამოცდა იყო ანსამბლთან ერთად საზღვარგარეთ მოგზაურობა, ნ. აბესაძის მიერ შესრულებული ლირიკა — უშუალო საუბარი მეგობრებთან, თანამედროვეებთან, წინამორბედებთან, „პატივცემულ შთამომავალ ამხანაგებთან“ ან უბრალოდ მზესთან...

ლიტერატურული თეატრის მესამე წარმოდგენა იქნება „ვეფხისტყაოსანი“, თანაც რუსულად, რათა ფართო მაყურებელს აგრძნობინოს აღმოსავლური რენესანსის ლექსის მშვენიერება, დაგვანახვოს რუსთაველის სიტყვის ხელოვნება, აზრის ხელოვნება.

ყველა წარმოდგენა ნამდვილი თეატრალური ეფექტებით ყავა. დამდგმელი რეჟისორი თავად კოტე მახარაძეა.

ტ. კონსტანტინოვა,
„პრავდა“, 1987 წ. 4.VIII.

სიმღერა — მისი თანამგზავრი

25 წელი ესტრადაზე

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი ნანული აბესაძე თავიდან სულაც არ ფიქრობდა მუსიკალურ კარიერაზე. იგი ინგლისური ენის დაუფლებაზე ოცნებობდა, მაგრამ ნიჭმა თავისი გაიტანა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხატვრულ თვითმოქმედებაში თანდათან გამოვლინდა მომღერლის შესაძლებლობანი.

„არის მეორე ლეგენდა, რატომ დაგერქვა თბილისი“... მთელმა საქართველომ შეიყვარა ნუნუ გაბუნიას ეს სიმღერა ნანული აბესაძის შესრულებით. ნანული დღეს უკვე აღიარებული მომღერალია. აი რას ამბობს მის შესახებ კომპოზიტორი მიხეილ ტარავერდიევი: „სასიამოვნო ხმა, სიმღერის წვდომის უნარი, ესტრადაზე მის გამოჩენას განსაკუთრებულ მომხიბვლელობას სძენს“.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ გადაეგზავნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საშშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტს, რომელმაც განათლების სამინისტროს აცნობა, რომ შენობის კედლების დანესტიანების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო ბათქაშის ჩამონგრევა, უნდა გაეწმინდათ კედლის ნაკერები, აეკრათ ლითონბადე. სამწუხაროდ, ეს დასკვნაც ყურად არავინ იღო.

გავიდა ხანი და 1975 წლის ივლისში გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი „დაუდევრობა?“, ამ წერილსაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მშენებლებმა „კრიტიკა ლამაზი ფრაზებით მოიგერიეს. „კომუნისტმა“ განმეორებით დაბეჭდა კრიტიკული წერილი. მეორე წერილსაც პასიურად შეხვდნენ მაშინ როგორც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ასევე მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელობა.

და აი, ამას წინათ ლანჩხუთის რაიონული გაზეთის „კომუნისტური შრომის“ რედაქციამ მკაცრად ამხილა შუხუთის საშუალო სკოლაში არსებული დამაფიქრებელი ხარვეზები. ჩვენც კვლავ დავინტერესდით შექმნილი ვითარებით და შუხუთის სკოლას ვეწვიეთ. ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგესთან ა. ანთაძესთან, ამ სკოლის დირექტორ ა. იმნაიშვილთან, შუხუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ფირცხალაიშვილთან ერთად დავათვალიერეთ ყველა კუთხე-კუნჭული. მდგომარეობა, რა თქმა უნდა, უარესია, ვიდრე 10-12 წლის წინათ იყო.

— შენობის ფასადი საგრძნობლად არის დაზიანებული. წვიმის წყალი პირდაპირ საკლასო ოთახებსა და კაბინეტებში ასხამს, მიმდინარე წლის 22 მაისს ძლიერი ქარი ამოვარდა და სკოლას სახურავიც გადახადა, მას შემდეგ ორ თვეზე მეტი გავიდა და შენობის გადახურვაზე არავის უზრუნია. როგორც ღია ცის ქვეშ, ისე აწვიმს ნაგებობას, ისედაც უხარისხოდ აგებულ დაზიანებულ კედლებს, რის გამოც სამივე სართულზე დაიბზარა. ჭერიდან და კედლებიდან ბათქაში ცვივა. სართულშორისი ბლოკები ალაგალაგ ერთიმეორეს დაცილებულა და დაბზარულა, შეიძლება ჩამონგრეს კიდეც, მაშინ გვიანღა იქნება. სანახევროდ ჩამონგრეულია ამ ვეებერთელა ნაგებობის კარ-ფანჯრები. სასწავლო სახელოსნო სარდაფშია და შიგ ზამთარ-ზაფხულ წყალი დგება, გაკვეთილების ჩატარება შეუძლებელია. მოსწავლეთა საცურაო აუზში წყალი არ არის. სასწავლო ოთახებსა და კაბინეტებში 22 გასათბობი რადიატორის ნაცვლად 10-12-ია დამონტაჟებული. გათბობის სისტემა სანახევროდაც არ ქმარა. არტეზიული ჭა არ მუშაობს, ბიბლიოთეკაშიც წვიმს. 12 ათასი ცალი წიგნი აქა-იქ არის შეყრილი.

სკოლის შენობის ელექტროგანთება ავარიულ მდგომარეობაშია. ნესტიან კედლებში ჩატანებული გაყვანილობა დალპა და წაბდა. ერთი სიტყვით, შუხუთის სკოლის შენობა სადაცაა წაიქცევა...

სასწავლო წელი ახლოვდება, ამ სკოლაში ყოველად დაუშვებელია მეცადინეობის დაწყება. სანახევროდ დანგრეულ შენობაში 200-250 მოსწავლის ალალბედზე შეშვება შეიძლება?!

დაუჯერებლობის გრძნობა, რომელიც, აშკარაა, წლების განმავლობაში განუმტკიცდათ ვაი-შენებლებს, ცუდ სამსახურს უწევს ჩვენს საერთო საქმეს.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ რაიონის ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დღეს შრომობენ კომკავშირულ-ახალგაზრდული დამკვრელური სტუდენტთა რაზმები, რომლებიც თბილისის უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ. მათ შორის არიან პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ოქტომბრის 70 წლისთავის სახელობის რაზმი და ინტერრაზმი „მეგობრობა-87“. ჩვენ ვეწვიეთ ამ უკანასკნელს, რომელშიც გაერთიანებული არიან თბილისის უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, მსოფლიოს 16 ქვეყნიდან, მათ შორის ინდოეთიდან და ნიკარაგუადან, სირიიდან და ფილიპინებიდან, კოლუმბიიდან და ავღანეთიდან, ჩილედან, ვენესუელიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ახალგაზრდები.

— მესამე წელია ზედიზედ ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში ჩამოდის სტუდენტთა ინტერრაზმი — გვითხრა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა რევაზ კვარაცხელიამ. — კმაყოფილი ვართ მათი მუშაობით. საბჭოთა მეურნეობაში ახლა დიდძალი საქმეა. სახელმწიფო გეგმის თანახმად 3.360 ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი უნდა ჩავბაროთ, აქედან 2.000 ტონა უკვე მოკრეფილია და ამაში რაზმის გვარიანი წვლილიც არის.

რა აერთიანებს მათ მეჩაიეობის მეურნეობის პლანტაციებში? რა თქმა უნდა, შრომის ენა, რომელიც ყველაზე ინტერნაციონალურია ყველა ენას შორის. მათი მეგობრობა მინდვრად დაიწყო და კიდევ უფრო განამტკიცა ინტერნაციონალური მეგობრობის საღამომ. ხალამოში სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ, შემდეგ კი იყო სპორტული შეხვედრები — ფრენბურთში, კალათბურთში და მაგიდის ჩოგბურთში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲔᲑᲘ: ინტერრაზმის მეთაურის მოადგილე, ავღანელი სულთან ჰალიმი; ფილიპინელი სტუდენტები ამელია პურშუნკულა და ემილია დავიდი ჩაის კრეფის დროს; ნიკარაგუელი ხარლემ აგილარი და ინდოელი სტუდენტები მადივათანი ტკურაირაჯა და პრატიმა მაჰტო: კალათბურთში შეხვედრის მომენტი.

ფ. კრიმსკი.
ავტორის ფოტო.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

გეპატიჟებათ კოტე მახარაძე

მის ხმას ბევრი იცნობს. გახსოვთ, გაისმოდა სიტყვები: „ლაპარაკობს და უჩვენებს მეხიკო...“ და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კოტე მახარაძე მაზნებრივად უამბობდა მილიონობით გულშემატკივარს, თუ როგორი ბატალიები მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონატის ფეხბურთის მოედნებზე. თბილისელები მას ამასთანავე იცნობენ, როგორც კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წამყვან მსახიობს.

ამჟამად კოტე მახარაძე ერთი აქტიორის ლიტერატურულ თეატრს ქმნის. დარეჯანის სასახლის ეზოში, მეფე ერეკლეს ცოლის საზაფხულო რეზიდენციაში, დგას პატარა ეკლესია, სადაც ახალი თეატრი დაბინავდა. მსახიობი აქვე, პირდაპირ ეზოში იღებს თავის სტუმრებს — მაყურებლებს, და ესაუბრება მათ. ეკლესიიდან ილია ჭავჭავაძის ლექსებზე დაწერილი სიმღერები მოისმის. მსახიობი ყველას დარბაზში ეპატიჟება, თვითონ აწყობს განათებას, არჩევს მუსიკას და იწყება შესანიშნავი ქართველი მგოსნის უჩვეულო ბედის ამბავი.

ილიას ლექსები, პოემები და მოთხრობები გამსჭვალულია მშობელი მხარის სიყვარულით. მათში პოეტს გულითადი დიალოგი აქვს საქართველოს უზვ, მრავალფეროვან და განუმეორებელ ბუნებასთან. „სამშობლო მთებო, თქვენი შვილი განებებთ თავსა, მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა...“. ნაოვლიანად, ოდნავ ხრინწიანად გაისმის მახახობის საამო, გულში ჩამწვდომი ხმა. და თითქოს თვალწინ წარმოგიდგება თოვლიანი მწვერვალები, მზის სხივებზე მოელვარე ვენახები და უჩვეულოდ ლურჯი ქართული ცა.

— მომდევნო პროგრამა მაიაკოვსკისა და გალაკტიონის შემოქმედებას მიეძღვნება, — გვეუბნება კოტე. — ეს პოეტები ჩემი ბავშვობის სათაყვანო კერპები იყვნენ. და დღემდე დარჩნენ ჩემთვის საყვარელ პოეტებად. ისინი ხომ ტოლფასი იყვნენ. მაიაკოვსკი ბაღდადში დაიბადა, ტაბიძე — აქედან ოციოდე კილომეტრზე. ორივე ქუთაისში სწავლობდა. ჰოდა, ბეტონგრაფშიც ერთდროულად აღმოჩნდნენ 1917 წლის რევოლუციური ამბების ქარცეცხლში.

გალაკტიონის ლირიკაში უჩვეულოდ მგზნებარედ აისახა ცა და ზღვა, მთა და მდინარე, ხეები, ბალახი, ყვავილები, პურის თავთავი და თვით პოეზია:

ᲔᲥᲫᲣ წელზე მეტია შენდება მარტოხელა ხანდაზმული და შრომისუუნარო მოქალაქეების სახლ-ინტერნატი დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთში. სამუშაოთა მიმდინარეობის ახლანდელი ტემპით თუ ვიმსჯელებთ, აქ ახალსახლობას წელსაც ვერ იზეიმებენ.

სამწუხაროდ, ეს მაგალითი ერთადერთი როდია, ნელა შენდება ანალოგიური ობიექტი ქუთაისში, ხოლო ხელვაჩაურის რაიონში ფერიის სახლ-ინტერნატის მშენებლობას, რომელიც ჯერ კიდევ შარშან უნდა დაწყებულიყო, არც კი შესდგომიან.

საქმის ასეთ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკის პროფსაბჭომ ახლახან მიიღეს ერთობლივი დადგენილება. მასში აღნიშნულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება საჭიროა ხანდაზმულთა და ინვალიდთა მომსახურების გაუმჯობესების, რესპუბლიკაში სახლ-ინტერნატების ქსელის გაფართოებისათვის. მაგრამ, როგორც ცნობილია, ერთი საქმეა თუნდაც უზუსტესი მითითება, ხოლო სულ სხვაა მისი შესრულება. შექმნილ სიტუაციაში გასარკვევად საქონფორმის კორესპონდენტს ხუთ სხვადასხვა უწყებაში მოუხდა მისვლა. და აი, რა გამოვარკვიეთ.

— რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულია, რომ 1987-1990 წლებში აშენდეს ხანდაზმულთა და ინვალიდთათვის განკუთვნილი 1200-ადგილიანი სახლ-ინტერნატები, — თქვა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სამეურნეო სამმართველოს უფროსმა ბ. ღვინიაშვილმა, — მაგრამ ყოფნდება არა მარტო მშენებარე ობიექტების აგება, არამედ მომავალი ობიექტების დაპროექტებაც, მაგალითად, მცხეთაში, თერჯოლაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფერიაში. ეს იმიტომ ხდება, რომ საგეგმო ორგანიზები დაპროექტებისა და მშენებლობის სახსრებს დროულად არ გვაწვდიან, თანაც გვიკვეცავენ. წელს სამინისტროომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ასი ათასი მანეთის განაცხადი წარუდგინა, მაგრამ ამ თანხის მხოლოდ ნახევარი გამოგვიყვეს.

— პირიქით, — მიაჩნია საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების უფროსს რ. ბაბუნდიას, — ჩვენ გეგმის ფარგლებში, რა თქმა უნდა, ყოველნაირად შევეწყეთ ხელი სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს. სოციალური მნიშვნელობის ყველა ობიექტის ლიმიტირება პირველ რიგში ხდება. მაგრამ საქმე ის არის, რომ სახლ-ინტერნატების დაპროექტებისა და მშენებლობისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებას მოიჯარეები წლითიწლობით ნელა ითვისებენ, ზოგჯერ კი საერთოდ დანშნულებისამებრ არ იყენებენ. მაგალითად, საიდან მოხვდა კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს მიმდინარე წლის ობიექტებს სატიტულო სიაში ბორჯომის პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატი, რომელიც ლიმიტირებულ ობიექტთა შორის აღრიცხული არ იყო?

სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში კორესპონდენტს განუმარტეს: რა მოხდა, პანსიონატიც ასაშენებელია, ამის თაობაზე გვაქვს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განკარგულება, ხოლო თერჯოლის ობიექტს მომავალი წლის გეგმაში შევიტანთო; რა მნიშვნელობა აქვს, თუ როდის დავიწყებთ?

მნიშვნელობა როგორ არა აქვს, ასე თუ მივუდგებით საქმეს, ვერასდროს ვერ დავძლევთ უყაირათობასა და მასთან დაკავშირებულ ნეგატიურ მოვლენებს — „ზოზინობენს“, სახსრების დაქმაქვას, დაუმთავრებელ მშენებლობებს და ასე შემდეგ. კარგი იქნებოდა ეს ყოველთვის ახსოვდეთ იმათ, ვისზეც დამოკიდებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მიერ დასახული სოციალურ ღონისძიებათა პროგრამის რეალიზაცია. მარტოხელა ხანდაზმულ და შრომისუუნარო მოქალაქეებს კი არ შეუძლიათ, და არც არიან ვალდებულნი ვიღაცის, მეტი რომ არა ვთქვათ, უფერგლობის გამო გაუთავებლად ელოდნენ საჭირო სოციალური მომსახურებების მიღებას, რომელსაც სახელმწიფო უწევს...

— რაც შეეხება მცხეთის სახლ-ინტერნატს, — გვითხრა საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა დ. ბოკერიამ, — პროექტი წლის დამლევისათვის მზად იქნება. ხოლო ფერიის სახლ-ინტერნატის მშენებლობა შეიძლება დაიწყოს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში, მას შემდეგ, რაც პროექტში საჭირო შესწორებებს შეიტანენ.

დასრულდება თუ არა, ბოლოს და ბოლოს, ასე დიდხანს მშენებარე ბაზალეთის სახლ-ინტერნატი? ამ კითხვას ყველგან დადებითი პასუხი გასცეს. კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოში, მაგალითად, გვაცნობეს, რომ ობიექტის მიმდინარე დაპროექტებისა და მშენებლობის დასრულებისათვის გამოყოფილია დამატებითი კაპიტალდაბანდებანი, ხოლო „სახაგრომშენში“ გვითხრეს, რომ ობიექტს განსაკუთრებული კონტროლი დაუწესეს. მაშ ასე, ისოლ დაგვრჩენია პენსიონერებთან ერთად იმედი ვიქონიოთ, რომ აქ ახალი წლისთვის მაინც იზეიმებენ ახალსახლობას, როგორც ეს გათვალისწინებულია უკვე მესამედ შესწორებული სახლ-ინტერნატის ჩაბარების უკანასკნელი გრაფიკით.

(საქინფორმი).

ᲕᲘᲓᲔᲝᲡᲐᲚᲝᲜᲘ ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲓᲐᲜ ბათუმის განაპირა დაბა აბაშიძის მცხოვრებლებს კინოფილმების სანახავად ცენტრში აღარ მოუწევთ სიარული. ისინი ფილმებს აქ გახსნილ ვიდეოსალონში ნახავენ. მის რეპერტუარშია საბჭოთა და საზღვარგარეთელ კინოს ოსტატთა ლენტები. დილის საათებში ბავშვებისათვის აჩვენებენ მულტიპლიკაციურ ფილმებს.

მაგრამ ვიდეოსალონი მარტო ფილმებით როდია მიმზიდველი, აქ გახსნილია უალკოჰოლო სასმელების კაფე, სადაც მსურველთ შეუძლიათ ოჯახურ ან მეგობართა წრეში მიირთვან ჭიქა ჩაი ან ყავა, ისაუბრონ, მოითხოვონ ხილი, შეუკვეთონ ნამცხვარი და ნაყინი, ცივი წვენებით მოიკლან წყურვილი. (საქინფორმი).

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

**ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, ᲐᲛᲒᲘᲓᲘᲡᲜᲘ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲡᲜᲘᲡ — 99-66,10, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 99-22-93, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲜᲐᲚᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ — 93-95-68.

ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ — 2-40-19; **ᲑᲐᲗᲣᲛᲘ** — 3-41-69; **ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ** 2-22-52; **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ** — 5-26-86; **ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ** — 14-27-87; **ᲒᲝᲠᲘ** — 2-33-10; **ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ**—2-03-15; **ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ** — 2-28-40; **ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ** — 6-34-44; **ᲖᲔᲚᲔᲜᲩᲣᲚᲘ** — 5-56-86; **ᲗᲔᲚᲐᲕᲘ** — 3-12-09; **ᲧᲘᲗᲘᲚᲬᲧᲐᲠᲝ** — 23-66; **ᲧᲕᲘᲖᲣᲚᲘ** — 25-82; **ᲡᲐᲛᲔᲠᲔᲓᲘᲐ** — 45-32.

ᲐᲮᲐᲚᲡᲐᲮᲚᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

ᲨᲣᲮᲣᲗᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲜᲐᲮᲔᲚᲐᲕᲘᲐ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲣᲡᲣᲚᲒᲣᲚᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲣᲓᲔᲒᲠᲐᲓ ᲐᲔᲨᲔᲜᲔᲑᲘᲐᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲣᲡᲣᲚᲒᲣᲚᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ